პროფესია რეპორტიორი კინოში

ჟურნალისტთა სახეები და მათთან დაკავშირებული სტერეოტიპები კინოში

ავტორი: რუსუდან გიორგაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევები და კულტურის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:მანანა ითონიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი,2015

სარჩევი

აბსტრაქტი----------3

შესავალი----------4

1.ჟურნალისტები კინოში----------11

2.ლიტერატურული მიმოხილვა----------31

3.მეთოდოლოგია----------36

4.შედეგები----------39

5.შედეგების ინტერპრეტაცია/დისკუსია----------43

6.დასკვნა----------44

გამოყენებული ლიტერატურა----------46

აბსტრაქტი

სადიპლომო ნამუშევრის მიზანია განვიხილოთ ჟურნალისტური სტერეოტიპები პოპულარულ კულტურაში, კონკრეტულად კი-ფილმებში. ნამუშევარში მიმოვიხილავთ თუ როგორ შეიცვალა ეს სტერეოტიპები დროთა განმავლობაში. ჩვენი მსჯელობა დაფუძნებულია სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ ფილმებში ჟურნალისტთა სახეებისა და კატეგორიების ანალიზზე. წარმოდგენილი კვლევის მიზანია, შეგვექმნას წარმოდგენა თუ რა როლს თამაშობენ ჟურნალისტები სოციალურ თუ პოლიტიკურ მოვლენებში, რომლებიც კინოეკრანებზე ცოცხლდება. ჩატარებული კვლევის პერიოდი მოიცავს 1930-1949 და 1990-2014 წლებსა და ამ დროს გადაღებულ ფილმებს. ნამუშევარი, პირობითად, ორ პერიოდადაა დაყოფილი, რათა შედარების უკეთესი საშუალება მოგვეცეს. კვლევა ხუთითავისგან შედგება და მისი მთავარი ამოცანაა, აჩვენოს, რომ წლებთან ერთად სტერეოტიეების ნაწილი შეიცვალა, ნაწილი კი ოდნავ სახეცვლილი, თუმცა არსეობრივად იგივე დარჩა. აქვე წარმოდგენილია ამ ცვლილებების გამომწვევი მიზეზებიც. სადიპლომო ნამუშევრში მოგიყვებით იმ ჟურნალისტებზეც, რომლებმაც საკუთარი ეპოქა შექმნეს და შემდეგ რეჟისორების შთაგონების წყაროდაც იქცნენ. ასევე გავლენაზე, რომელსაც ჟურნალისტები საზოგადოებაზე ახდენენ. ვინაიდან ისინი ქმნიან საერთო ფონს

სოციუმში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალისტებს უდიდესი ზეგავლენა აქვთ პოლიტიკურ პროცესებზე,ახდენენ გავლენას სამოქალაქო სექტორზე და რაც მთავარია პირველებს მიაქვთ ინფორმაცია მოსახლეობამდე-ეს ფაქტი კი ინტერნეტ სივრცის გააქტიურებემაც კი ვერ შეცვალა. მათი თითოეული სიუჟეტი თუ სტატია მნიშვნელოვანია. ყოველივე ეს კარგად აისახა ფილმებსა თუ პოპულარულ სერიალებში (მაგ. ბანქოს სახლი, სკანდალი). ჟურნალისტი არის მენტალური მანიპულატორი, ეგრეთ წოდებული "მეოთხე ხელისუფლება", მათი ეშინიათ, უფრთხიან, ჟურნალისტებს არ ეშინიათ წნეხის, არ ეშინიათ გავლენიანი ფიგურების და თავისი საქმის გასაკეთებლად ბოლომდე იბრძვიან, რადგანაც ჟურნალისტზე საზოგადოების აზრია დამოკიდებული. ჟურნალისტი ობიექტურია, აშუქებს სიმართლეს, რომელიც ბევრისთვის მიუღებელია. ჟურნალისტი ჰეროიკული მითიური ფიგურაა, რომელსაც ფილმებში ყოველთვის განსაკუთრებული დატვირთვა აქვს და ვეცდები, ნამუშევარშიც ჟურნალისტური საქმიანობის სწორედ ეს ასპექტები წარმოვაჩინო.